განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია
## აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2019 წლის 24 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
11.11.2019

თბილისი

2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მითითებით სსიპ |
| უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია |
| განათლების საფეხური | სადოქტორო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სასურსათო ტექნოლოგიების დოქტორი კოდი: 0721 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ფედერიკო გომეს გალინდო ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი სასურსათო ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და კვების კათედრა |
| წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | გიორგი ჯაფოშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |

| | |
|---|---|
| წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ლელა გურგენიძე<br>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო<br>აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტი |

## აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  2018 წელს, პროგრამისა და უმაღლესი განათლების სფეროს წლიური შეფასების გამოწვევების საპასუხოდ, საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭომ განიხილა პროგრამის განმახორციელებლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი შეთავაზება მოქმედი სადოქტორო პროგრამის შეჩერებასა და მისი განახლებული, შეცვლილი ვერსიის შემუშავებაზე. 2018 წელი სწორედ მისი გაუმჯობესებისა და მასში ცვლილებების შეტანას მიეძღვნა. ახალი პროგრამა შემუშავდა და მისი წარდგენა მოხდა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროცედურებისა და მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს და 6 სასწავლო სემესტრს. 50 კრედიტი განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისთვის, ხოლო 130 კრედიტი კვლევითი ნაწილისთვის. ერთი კრედიტი უდრის 25 საათს.

  წარდგენილი ახალი სადოქტორო პროგრამა სასურსათო მეცნიერება და ტექნოლოგია წარმოადგენს ამ სფეროში აწსუ-ში დღემდე არსებული სადოქტორო პროგრამების ლოგიკურ გაფართოებას, ეხება აქტუალურ პრობლემებსა და გამოწვევებს და ძირითად აქცენტს აკეთებს სამედიცინო-პრევენციული და სხვა მიზნების ფუნქციონალური საკვების წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიების სამეცნიერო და პრაქტიკული საფუძვლის განვითარებაზე, საუბარია ისეთ საკვებზე, რომელსაც გააჩნია მაღალი ბიოლოგიური ღირებულება ადგილობრივი სასურსათო ნედლი მასალების ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

  ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 24 სექტემბერს (ცენტრის დირექტორის მიერ 2019 წლის 3 სექტემბერს გაცემული #777 ბრძანებისა და 2019 წლის 24 სექტემბრის #875 ბრძანების მიხედვით). სააკრედიტაციო ვიზიტი მოიცავდა გასაუბრებებს უნივერსიტეტისა და პროგრამის სხვადასხვა აქტორებთან, მათ შორის ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან: (i) უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, (ii) თვითშეფასების გუნდთან, (iii) პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან (iv) ფაკულტეტის წევრებთან, (v) მოწვეულ ლექტორებთან, (vi) დამსაქმებლებთან და სტაჟირების ხელმძღვანელებთან, (vii) სტუდენტებთან და (viii) კურსდამთავრებულებთან. ასევე დაგეგმილი იყო ვიზიტი ბიბლიოთეკასა და რამდენიმე ლაბორატორიაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

თვითშეფასების ანგარიშზე, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში და გადაწყვიტა, რომ პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს, შემდეგნაირად:

პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია პირველ და მე-2 სტანდარტებთან და შესაბამისობაშია მე- 3, მე-4 და მე-5 სტანდარტთან.

- რეკომენდაციები
  - პროგრამამ უნდა დაიწყოს აგრესიული სასწავლო კურსი ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად, როგორც სასწავლო პერსონალის, ასევე სტუდენტებისთვის. ასევე, უაღრესად რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს ენების მხარდაჭერის სერვისი, რომელიც უკვე არსებობს. ინგლისურ ენაზე ტექნიკურად წერის ტრენინგი სწავლების სავალდებულო ელემენტს უნდა წარმოადგენდეს.
  - მკაცრად რეკომენდებულია, რომ უნივრსიტეტმა და პროგრამამ აწარმოოს კამპანია ახალგაზრდების მეცნიერებით დაინტერესების მიზნით.
  - სასწავლო პერსონალმა და სტუდენტებმა უნდა გაიარონ საფუძვლიანი ტრენინგი ნაშრომების გამოქვეყნების ხარისხის ფაქტორებზე, მიეწოდოთ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო, რეცენზირებად და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშესაწყობად და მისაღწევად.
  - სტუდენტებმა უნდა გაიარონ მოპოვებული პედაგოგიური ცოდნის პრაქტიკა, ასისტირება გაუწიონ მთავარ ლექტორებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე.
  - სილაბუსებში მოცემული კურსების აღწერილობა და მათ შორის სწავლების საათები, კრედიტები და რეკომენდირებული ლიტერატურა საჭიროებს გაუმჯობესებას.
  - სასწავლო პრაქტიკა და სპეც სემინარი უნდა შეესაბამებოდეს საათებისა და კრედიტების ეკვივალენტობის შესახებ წესებს.
  - ინდუსტრიაში არსებული ყველაზე ფართოდ გავრცელებული სამუშაო ერთეულების ძირითადი საინჟინრო პრინციპების სწავლება უნდა დაემატოს პროგრამას, როგორც სავალდებულო ან არჩევითი კურსი.
  - მოთხოვნა „ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე“ ცოდნის შესახებ უნდა შეიცვალოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნით და ეს იყოს მთავარი მოთხოვნა, ხოლო გერმანულისა თუ ფრანგულის ცოდნა წარმოადგენდეს იმ დამატებით უპირატესობას, რომელსაც პროგრამა მხედველობაში მიიღებს.
  - დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტების, ისევე როგორც ხელმძღვანელების უფლებებსა და მოვალეობებს. უფლებების ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს ქმედებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის კონფლიქტის შემთხვევაში. სტუდენტმა და ხელმძღვანელმა უნდა განიხილონ სტუდენტის უფლებები პროგრამის დასაწყისში, რათა დარწმუნდნენ, რომ ორივე მხარეს ესმის და ეთანხმება დოკუმენტის შინაარსს.

- **რჩევები**
  - გირჩევთ, რომ ზოგიერთი ძველი ძირითადი კურსი, რომელიც განსაზღვრავს რელევანტურ ცოდნას, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებში. მაგალითად: სასურსათო ქიმია, მიკრობიოლოგია, ბიოლოგია.
  - ძირითადი ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა სახეზეა. თუმცა, ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის განახლებისა და გაუმჯობესებისათვის საჭიროა მუდმივი ძალისხმევა.
  - ძალისხმევა უნდა გაორმაგდეს, რათა სტუდენტებს მიეწოდოს საჭირო ფინანსური საშუალებები სხვა ლაბორატორიებში ექსპერიმენტების ჩასატარებლად, აგრეთვე სხვა აკადემიური საქმიანობისთვის ქალაქის გარეთ.
  - კარგი იქნება თუკი განმარტავთ „სპეც სემინარის“ მნიშვნელობას.
  - სასწავლო პრაქტიკის კურსი საჭიროებს უკეთეს აღწერას. ამჟამინდელი მდგომარეობით, ისე ჩანს, რომ იგი მოიცავს 30 საათსა და 5 კრედიტს, რაც არ შეესაბამება საათებისა და კრედიტების განაწილების წესს.
  - შესაძლოა უმჯობესი იყოს რამდენიმე კურსის გაერთიანება, მაგალითად ფუნქციური ინგრედიენტები და ფუნქციონალური დანიშნულების საკვების ბიოლოგიური შესწავლის მეთოდები, ასეთ შემთხვევაში მივიღებთ 15 სალექციო და 45 ლაბორატორიულ საათს.
  - კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურული წყაროების მეტად დაკონკრეტება შეიძლება.
  - კურსი საკვების კვლევის ქრომატოგრაფიული და სპექტრალური მეთოდები მოიცავს მხოლოდ თეორიას. თუმცა, უმჯობესი იქნება, თუკი სტუდენტები მიიღებენ გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებასაც აღჭურვილობასთან მუშაობის კუთხით, ზედამხედველობის ქვეშ, კურსის განმავლობაში ან კვლევით საქმიანობაში თანამშრომლობის დროს.
  - კარგი იქნება, თუკი სტუდენტებს წაახალისებთ, რომ მეტად იაქტიურონ სხვადასხვა მიმდინარე კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით და ასევე, თუკი წაახალისებთ, რომ განაცხადი შეიტანონ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებში, მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, მათ შორის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.
  - კარგი პრაქტიკა იქნებოდა შეფასების პროცესში ერთზე მეტი შემფასებლის ჩართვა, ასევე გარე შემფასებლის შეყვანაც.
  - კარგი იქნებოდა თუ პერსონალს ექნება აქტიური კონტაქტები და თანამშრომლობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც საბოლოოდ წარმოდგენილი იქნება მათი პუბლიკაციებით.
  - უმჯობესი იქნებოდა, თუკი ბიუჯეტში დეტალურად იქნებოდა აღწერილი აღჭურვილობის, მასალებისა და კვლევისა და ექსპერიმენტებისთვის გათვალისწინებული სხვა ხარჯები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - ბიბლიოთეკის ორგანიზება და ონლაინ ჟურნალებისა და ტექნიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

- ჩამოთვლილი კურსების: სურსათის ქიმიის მიმდინარე საკითხების, საკვების წარმოების შესახებ მიმდინარე საკითხები, სურსათის უვნებლობის მიმდინარე საკითხები, ფუნქციონალური დანიშნულების კვების წარმოების პრობლემები და პერსპექტივების და ფუნქციონალური დანიშნულების კვების კლინიკური შესწავლის მეთოდების განხორციელება უკეთესი იქნება, თუკი ისინი მოიცავენ ლაბორატორიულ სამუშაოებს.

- ადგილობრ მრეწველობას კარგად აქვს გააზრებული პროგრამის მიზნები და ენთუზიაზმით არის განწყობილი თანამშრომლობის შემთხვევაში პოტენციური სარგებლის მისაღებად. ასახავს ძალიან კარგ მასტიმულირებელ სამუშაოს პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან სამრეწველო დაინტერესებულ მხარეებთან დაკონტაქტების კუთხით და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ხელშეწყობის მიმართულებით.
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შესრულებულია ძალიან კარგი სამუშაო, როცა ფიქრობენ პროგრამის თითოელი ასპექტის გაუმჯობესებასა და შეფასებაზე და გეგმავენ გაუმჯობესების გზებს.
- პროგრამის მულტიდისციპლინარული ხასიათი ძალიან კარგია.

- პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. ერთი მათგანი ძალიან გამოცდილია და გადასცემს გამოცდილებას მეორეს, პროგრამის ნაკლებად გამოცდილ ხელმძღვანელს.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>• პროგრამის მიზნები ნათლად ჩამოყალიბებულია. მიზანი -“ კვლევის შედეგების გაანალიზების, შეჯამებისა და საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოსაქვეყნებელი თეორიული და კვლევითი მასალების მომზადების უნარების განვითარება“ უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი. თუმცა, ფაკულტეტს არ აქვს იმის ტრადიცია ან საკმარისი ენობრივი უნარები, რომ ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნოს მასალები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. ენობრივი უნარები საჭიროებს არსებით გაუმჯობესებას როგორც სასწავლო პერსონალში, ასევე სტუდენტებში. პროგრამაში უნდა დაინერგოს საერთაშორისო, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების ტრადიცია. ინგლისურ ენაზე სამეცნიერო კომუნიკაციის ბარიერები ასევე შეაფერხებს წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, გამომცემლებთან თანამშრომლობის მიზნის განხორციელებას და კონფერენციებში მონაწილეობის მიღებას. დაგროვილი ცოდნის გაძლიერების, გადაცემის, გავრცელებისა და სწავლების პედაგოგიური უნარების განვითარების შესახებ მიზანი კარგად არის მოცემული პროგრამაში, თუმცა დოქტორანტურის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში პედაგოგების ასისტირებით, საბაკალავრო ან სამაგისტრო დონის კურსებზე.<br>• პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს<br>• კურსდამთავრებულებში.<br>• პროგრამა ასევე ასახავს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს.<br>• მიზნები თანმიმდევრულია უსდ-ს მისიასთან, ამოცანებთან და სტრატეგიასთან მიმართებაში, ასევე მის ფაკულტეტთან/სკოლასთან/საგანმანათლებლო ერთეულთან თუ სტრუქტურულ ერთეულთან მიმართებით.<br>• მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს, სამეცნიერო დარგის მდგომარეობას და საზოგადოებრივი განვითარების საჭიროებებს.<br>• მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია<br>• მიზნებს იცნობენ პროგრამაში ჩართული პირები. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

თვითშეფასების ანგარიშიდან:

- ფაკულტეტის საბჭოს ოქმი N1 8.11.2017 (დანართი 8);
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა

გასაუბრებები სხვადასხვა ჯგუფებთან

**რეკომენდაციები:**

- პროგრამამ უნდა დაიწყოს აგრესიული სასწავლო კურსი ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად, როგორც სასწავლო პერსონალის, ასევე სტუდენტებისთვის. ასევე, უაღრესად რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს ენების მხარდაჭერის სერვისი, რომელიც უკვე არსებობს. ინგლისურ ენაზე ტექნიკურად წერის ტრენინგი სწავლების სავალდებულო ელემენტს უნდა წარმოადგენდეს.
- მკაცრად რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა და პროგრამამ აწარმოოს კამპანია ახალგაზრდების მეცნიერებით დაინტერესების მიზნით.
- სასწავლო პერსონალმა და სტუდენტებმა უნდა გაიარონ საფუძვლიანი ტრენინგი ნაშრომების გამოქვეყნების ხარისხის ფაქტორებზე, მიეწოდოთ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო, რეცენზირებად და იმ პაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშესაწყობად და მისაღწევად.
- სტუდენტებმა უნდა გაიარონ მოპოვებული პედაგოგიური ცოდნის პრაქტიკა, ასისტირება გაუწიონ მთავარ ლექტორებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- ბიბლიოთეკის ორგანიზება და ონლაინ ჟურნალებისა და ტექნიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- ადგილობრივ მრეწველობას კარგად აქვს გააზრებული პროგრამის მიზნები და ენთუზიაზმით არის განწყობილი თანამშრომლობის შემთხვევაში პოტენციური სარგებლის მისაღებად. ასახავს ძალიან კარგ მასტიმულირებელ სამუშაოს პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან სამრეწველო დაინტერესებულ მხარეებთან დაკონტაქტების კუთხით და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ხელშეწყობის მიმართულებით.

**მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ყურადღებას ამახვილებს ყოვლისმომცველ ცოდნაზე, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობის გრძნობასა და ავტონომიურობაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის შინაარსით. თუმცა, სილაბუსებში მოცემული კურსების აღწერილობა საჭიროებს გაუმჯობესებას, უნდა მოიცავდეს სასწავლო საათებს, კრედიტებსა და რეკომენდებულ ლიტერატურას. ინდუსტრიაში არსებული ყველაზე ფართოდ გავრცელებული სამუშაო ერთეულების ძირითადი საინჟინრო პრინციპების სწავლება უნდა დაემატოს პროგრამას, როგორც სავალდებულო ან არჩევითი კურსი.
- სწავლის შედეგები გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგი- „სასწავლო კურსები, სწავლება/სწავლის და შეფასების პროგრამით გათვალისწინებული მეთოდები, სტუდენტს გამოუმუშავებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული საქმიანობისთვის" - საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა გახდეს „მიღწევადი და რეალისტური". კურსის სილაბუსებს აქვთ პრობლემა კურსის ყველა კომპონენტის დეტალური აღწერის კუთხით, უნდა მოიცავდეს რა სასწავლო საათებს, კრედიტებს და რეკომენდებულ ლიტერატურას. დარგში სტუდენტის კომპეტენციის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია ძირითადი სწავლება ინდუსტრიაში არსებული ერთეულების მუშაობასთან დაკავშირებული საინჟინრო ასპექტების შესახებ.

- „სურსათის წარმოების მიმდინარე პრობლემების“ სასწავლო კურსს მხოლოდ ერთი რეკომენდებული ლიტერატურა აქვს: „ცხობის მეცნიერება და ტექნოლოგია“, I ტომი, ISBN 978-0-9820239-0-7; სოსლანდის საგამომცემლო კომპანია, 2008, 750გვ. იგივეა ამ კურსის შემთხვევაშიც: ფუნქციონალური დანიშნულების საკვების წარმოების პრობლემები და პერსპექტივები.
- სასწავლო პრაქტიკას ეთმობა მხოლოდ 30 საათი, თუმცა სტუდენტს ანიჭებს 5 კრედიტს, ეს კი იგივე რაოდენობაა, რომელიც 125 საათიან კურსებზეა გათვლილი.
- სპეც-სემინარი იძლევა 10 კრედიტს, ისე რომ საათების რაოდენობა არ არის მითითებული.
- ორივე კურსი უნდა შეესაბამებოდეს საათებისა და კრედიტების თანაფარდობის შესახებ წესებს.
- შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით. დასაფიქრებელია ზემოთ აღწერილი კვალიფიკაციები.
- თანმიმდევრულია პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მოთხოვნებთან მიმართებით.
- თანმიმდევრულია დარგის სპეციფიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართ.
- დანერგილია პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით (აკადემიური/ სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტები/ კურსდამთავრებულები/ დამსაქმებლები და სხვა).
- პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ იცოდეს პროგრამის სწავლის შედეგები.
- პროგრამას აქვს განსაზღვრული მექანიზმი სწავლის შედეგების შესაფასებლად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ და რეგულარულად.
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის თავისებურებებს. იგი იყენებს შესაბამისი შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რა დონეზე მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგები.
- გამოიყენება შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები.
- პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის მოცემულია სამიზნე ნიშნული, შეფასების შედეგები კონტროლდება და ხდება მათი შედარება სამიზნე ნიშნულებთან.
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.
- პროგრამის პერსონალს აქვს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, სტუდენტთა სწავლის შედეგების დანერგვის, გაზომვისა და გაანალიზების მიმართულებით. აქ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, თუ რამდენად კარგად ასრულებს თავის სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- თუ შესაძლებელია, სწავლის შედეგებს აფასებს ერთზე მეტი შემფასებელი.
- სტუდენტები იღებენ უკუკავშირს იმის თაობაზე, თუ რამდენად მიაღწიეს გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსი და/ან სწავლის შედეგები და/ან შეფასების სისტემაც მოდიფიცირდება.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>თვითშეფასების დოკუმენტიდან:<br><br>• სადოქტორო პროგრამა "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები" (დანართები 1-4);<br>• ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები (დანართი 8);<br>• გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები (დანართი 6).<br><br>ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• სილაბუსებში მოცემული კურსების აღწერილობა და მათ შორის სწავლების საათები, კრედიტები და რეკომენდირებული ლიტერატურა საჭიროებს გაუმჯობესებას.<br>• სასწავლო პრაქტიკა და სპეც-სემინარი უნდა შეესაბამებოდეს საათებისა და კრედიტების ეკვივალენტობის შესახებ წესებს.<br>• ინდუსტრიაში არსებული ყველაზე ფართოდ გავრცელებული სამუშაო ერთეულების ძირითადი საინჟინრო პრინციპების სწავლება უნდა დაემატოს პროგრამას, როგორც სავალდებულო ან არჩევითი კურსი. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**<br><br>არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ შესრულებულია ძალიან კარგი სამუშაო, როცა ფიქრობენ პროგრამის თითოეული ასპექტის გაუმჯობესებასა და შეფასებაზე და გეგმავენ გაუმჯობესების გზებს.<br>o პროგრამის მულტიდისციპლინური ხასიათი ძალიან კარგია. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>• უმეტესად მიღწეულია ის, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებენ პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფენ სტუდენტების მიღებას პროგრამის ათვისებისთვის შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით; (იხილეთ რჩევები და რეკომენდაციები). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. თუმცა, გირჩევთ, რომ ზოგიერთი ძველი ძირითადი კურსი, რომელიც განსაზღვრავს რელევანტურ ცოდნას, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებში. ასევე რეკომენდებულია, რომ მოთხოვნა „ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე“ ცოდნის შესახებ შეიცვალოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნით და ეს იყოს მთავარი მოთხოვნა, ხოლო გერმანულისა თუ ფრანგულის ცოდნა წარმოადგენდეს იმ დამატებით უპირატესობას, რომელსაც პროგრამა მხედველობაში მიიღებს.<br>• პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;<br>• პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

თვითშეფასების დოკუმენტიდან:

- სადოქტორო პროგრამა "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები" (დანართები 1-4);
- ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება „მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტის ადგილების განსაზღვრის შესახებ და იმ სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებაც მობილობის წესით ხდება" (დანართი 22);
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს N12 (17/18) დადგენილება „სტუდენტის სტატუსის მოპოვების,
- შეჩერების, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და აღიარების წესის შესახებ" (დანართი 22);
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს N1 დადგენილება, 2007წ, 5 სექტემბერი, „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
- სადოქტორო სწავლების წარმოების ძირითადი პრინციპების შესახებ" (დანართი 22).

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; https://atsu.edu.ge/
ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

მოთხოვნა „ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე" ცოდნის შესახებ უნდა შეიცვალოს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნით და ეს იყოს მთავარი მოთხოვნა, ხოლო გერმანულისა თუ ფრანგულის ცოდნა წარმოადგენდეს იმ დამატებით უპირატესობას, რომელსაც პროგრამა მხედველობაში მიიღებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

გირჩევთ, რომ ზოგიერთი ძველი ძირითადი კურსი, რომელიც განსაზღვრავს რელევანტურ ცოდნას, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებში. მაგალითად: სასურსათო ქიმია, მიკრობიოლოგია, ბიოლოგია.

**საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ს განათლების პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს.
- პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს
- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა კარგი იქნება თუკი განმარტავთ „სპეცსემინარის" მნიშვნელობას. სასწავლო პრაქტიკის კურსი საჭიროებს უკეთეს აღწერას. ამჟამინდელი მდგომარეობით, ისე ჩანს, რომ იგი მოიცავს 30 საათსა და 5 კრედიტს, რაც არ შეესაბამება საათებისა და კრედიტების განაწილების წესს.

  რეკომენდებულია, რომ ჩამოთვლილი კურსების: სურსათის ქიმიის მიმდინარე საკითხების, საკვების წარმოების მიმდინარე საკითხების, სურსათის უვნებლობის მიმდინარე საკითხების, ფუნქციონალური დანიშნულების კვების წარმოების საკითხები, პერსპექტივების და ფუნქციონალური დანიშნულების კვების კლინიკური შესწავლის მეთოდების განხორციელება უკეთესი იქნება, თუკი ისინი მოიცავს ლაბორატორიულ სამუშაოებს.
- პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული ინდივიდუალური კურსი) არის თანამიმდევრულად და ლოგიკურად სტრუქტურირებული. დაშვების წინაპირობები შემდგომი კომპონენტისთვის ადეკვატურია.
- პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად;
- იმ კრიტერიუმის მისაღწევად, რომ პროგრამის შინაარსში გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი კვლევითი მიგნებები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები, თითოეული კურსის სილაბუსი უნდა ითვალისწინებდეს რეკომენდებულ ლიტერატურას სამეცნიერო ჟურნალებიდან.
- პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა აირჩიონ პროგრამის არჩევითი კომპონენტები, საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანების შესაბამისად.
- ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვ.) ჩართულია პროგრამის შემუშავებაში.
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>თვითშეფასების დოკუმენტიდან:<br><br>• სადოქტორო პროგრამა "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები" (დანართები 1-4);<br>• აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია , ქუთაისი, დადგენილება N49<br>• (17/18), 9 თებერვალი, 2018 (დანართი 22);<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 5);<br><br>ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>▪ ჩამოთვლილი კურსების: სურსათის ქიმიის მიმდინარე საკითხების, საკვების წარმოების მიმდინარე საკითხების, სურსათის უვნებლობის მიმდინარე საკითხების, ფუნქციონალური დანიშნულების კვების წარმოების საკითხები და პერსპექტივების და ფუნქციონალური დანიშნულების კვების კლინიკური შესწავლის მეთოდების განხორციელება უკეთესი იქნება, თუკი ისინი მოიცავს ლაბორატორიულ სამუშაოებს. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**<br><br>▪ კარგი იქნება თუკი განმარტავთ „სპეცსემინარის" მნიშვნელობას.<br>▪ სასწავლო პრაქტიკის კურსი საჭიროებს უკეთეს აღწერას. ამჟამინდელი მდგომარეობით, ისე ჩანს, რომ იგი მოიცავს 30 საათსა და 5 კრედიტს, რაც არ შეესაბამება საათებისა და კრედიტების განაწილების წესს. |
| **საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3 სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>▪ სტუდენტთა სწავლის შედეგები თითოეული სავალდებულო კურსისათვის შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს იმ ცოდნის მიღებას, რომელიც საჭიროა პროგრამაში მოცემულ დონეზე. თუმცა, შესაძლოა უმჯობესი იყოს რამდენიმე კურსის გაერთიანება, მაგალითად ფუნქციური ინგრედიენტები და ფუნქციონალური დანიშნულების საკვების ბიოლოგიური შესწავლის მეთოდები, ასეთ შემთხვევაში მივიღებთ 15 სალექციო და 45 ლაბორატორიულ საათს და კურსისთვის განკუთვნილი ლიტერატურული წყაროებიც შესაძლოა, რომ უფრო უკეთ იყოს დაკონკრეტებული.<br>• თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა ლიტერატურა მწირია.<br>• თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში. კურსი სურსათის კვლევის ქრომატოგრაფიული და სპექტრალური მეთოდები მოიცავს მხოლოდ თეორიას. თუმცა, უმჯობესი იქნება, თუკი სტუდენტები მიიღებენ გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებასაც აღჭურვილობასთან მუშაობის კუთხით, ზედამხედველობის ქვეშ, კურსის განმავლობაში ან კვლევით საქმიანობაში თანამშრომლობის დროს.<br>• თითოეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამეცადინო საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ამასთან ერთად, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორი თანაფარდობა ლოგიკურია და ითვალისწინებს კურსის თავისებურებებს; საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლებისა და სწავლის მეთოდები (ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული მუშაობა და სხვა) შეესატყვისება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.<br>• ხდება თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგის შეფასება. შეფასების მეთოდი მისაღებია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>თვითშეფასების დოკუმენტიდან:<br><br>• სადოქტორო პროგრამა "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები" (დანართები 1-4);<br>• სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 5);<br>• "საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა EP-QA" (აწსუ, 2018 წლის 9 თებერვალი, No. 49 (17/18) (დანართი 23);<br>• აწსუ-ს ბიბლიოთეკა |

- http://www.atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=508&Itemid=762&la ng=en;
- აწსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორის ცნობა საბიბლიოთეკო მარაგში სავალდებულო ლიტერატურის განთავსების შესახებ (დანართი 19).

ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- შესაძლოა უმჯობესი იყოს რამდენიმე კურსის გაერთიანება, მაგალითად ფუნქციური ინგრედიენტები და ფუნქციონალური დანიშნულების საკვების ბიოლოგიური შესწავლის მეთოდები, ასეთ შემთხვევაში მივიღებთ 15 სალექციო და 45 ლაბორატორიულ საათს.
- კურსებისთვის განკუთვნილი ლიტერატურული წყაროების მეტად დაკონკრეტება შეიძლება.
- კურსი საკვების კვლევის ქრომატოგრაფიული და სპექტრალური მეთოდები მოიცავს მხოლოდ თეორიას. თუმცა, უმჯობესი იქნება, თუკი სტუდენტები მიიღებენ გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებასაც აღჭურვილობასთან მუშაობის კუთხით, ზედამხედველობის ქვეშ, კურსის განმავლობაში ან კვლევით საქმიანობაში თანამშრომლობის დროს.
-

**საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები და/ან იყვნენ ჩართულები სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რაც შესაბამისობაში იქნება განათლების დონესთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამამ დანერგა თანამშრომლობა მაღალი სტანდარტის ლაბორატორიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილდეს.
- პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. სტუდენტთა მონაწილეობა სხვადასხვა მიმდინარე კვლევით აქტივობებში და ინფორმაცია სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებში მათ მიერ მხარდაჭერის მისაღებად შეტანილ განაცხადებზე, მათ შორის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. კარგი იქნება, თუკი სტუდენტებს წაახალისებთ, რომ მეტად იაქტიურონ სხვადასხვა მიმდინარე კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით და ასევე, თუკი წაახალისებთ, რომ განაცხადი შეიტანონ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებში, მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, მათ შორის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.
- პრაქტიკული კომპონენტისა და/ან სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. პერსონალის კვალიფიკაციები მაღალი სტანდარტისაა.
- თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

თვითშეფასების დოკუმენტიდან:

- ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია (დანართი 9);
- ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმები საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრებთან და ორგანიზაციებთან (დანართი 16);
- საგრანტო კონტრაქტები (დანართი 20);
- განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეები (დანართი 6).

ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

| |
|---|
| კარგი იქნება, თუკი სტუდენტებს წაახალისებთ, რომ მეტად იაქტიურონ სხვადასხვა მიმდინარე კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის კუთხით და ასევე, თუკი წაახალისებთ, რომ განაცხადი შეიტანონ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებში, მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, მათ შორის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში. |
| **საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>▪ სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, დასახულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. კურსები მოიცავს კრიტიკული აზროვნებისა და კვლევის სწავლების ელემენტებს.<br>▪ სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, იქმნება ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც გამოიყენება სტუდენტის ინტერესისა და აკადემიური მზადყოფნის შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის კარგი და დაუბრკოლებელი კომუნიკაცია უზრუნველყოფს ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას.<br>▪ თუ პროგრამაში ჩართულია უცხოელი სტუდენტი, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სწავლება-სწავლის ორგანიზებასა და შეფასების მეთოდებში ითვალისწინებს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

თვითშეფასების დოკუმენტიდან:

- სადოქტორო პროგრამა "სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგიები" (დანართები 1-4);
- სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 5);
- დოკუმენტაცია, რომელიც მოწმობს განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციებს (დანართი 6).

ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

| |
|---|
